თინათინ ქასრაძე

07/07/2006

სკოლა: კავკასიის მედიის სკოლა

პროგრამა: პიარი და კომუნიკაცია

კურსი: II

CU ელ. ფოსტა: T_kasradze@cu.edu.ge

ჩემს შესახებ:

მე ვარ თიკო ქასრაძე, დავამთავრე ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა. ამჟამად ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტის პიარისა და კომუნიკაციის პროგრამაზე.

მიხარია, რომ საშუალება მომეცა გავმხდარიყავი კავკასიის უნივერსიტეტის მესამე ნაკადის ელჩი. ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა და ამავდროულად, შესაძლებლობა, წვლილი შევიტანო სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებაში.

ბავშვობიდან მოყოლებული მიყვარს თეატრი და 7 წლის განმავლობაში დავდიოდი თეატრალურ სტუდიაში. ეს გამოცდილება ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. თეატრმა მასწავლა სცენაზე თავისუფლად ყოფნა, საკუთარი აზრის გამოხატვა და გუნდური მუშაობა. სწორედ თეატრისა და სცენის დამსახურებაა, რომ დღეს შემიძლია თავისუფლად გავმართო კომუნიკაცია ნებისმიერ აუდიტორიასთან და საკუთარ თავზე ავიღო დიდი პასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტების არჩევისას შევეცადე შემერჩია პროგრამა , რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნებოდა ჩემს ინტერესებთან. მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა ჩემთვის ყველაზე საინტერესო სფეროა. სწორედ ამ გზაზე ვხედავ საკუთარ განვითარებასა და მომავალს.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY AMBASSADOR